

ჯ. კეინსის თეორიის შუქ-ჩრდილები და ეკონომიკური კრიზისის ტექნოლოგიური, მიკრო და მაკროეკონომიკური, ფსიქოლოგიური და პოლიტიკური ასპექტები

ჯონ მეინარდ კეინსის თეორიის ღირსება-ნაკლოვანებებს საკმაოდ ფართოდ შევეხე ორ წიგნში [1; 2], რომლებიც 2008-2009 წლების კრიზისამდე დაიწერა. ქვემოთ ძალიან არ განვმეორდები, რადგან ახალი უფრო მაქვს სათქმელი, ვიდრე ძველი და ეს «ძველიც» მის ფონზე ახლებურად წარმოდგება.

1970-იან წლებში, როდესაც მსოფლიო შეძრული იყო ინფლაციური ქარიშხლებით და როდესაც ეს ქარიშხლები ვერც ეგრეთწოდებულმა «ნავთობის კრიზისმა» (1973-1975 წწ.) დააცხრო, ბრალი ამ «უბედურებისთვის» (როგორც მაშინ ინფლაციას მოიხსენიებდნენ) ეკონომიკის აქტიური სახელმწიფო რეგულირების მოწინააღმდეგეებმა დასდეს კეინსურ ფისკალიზმს – სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდასა და მის გამოყენებას ეკონომიკის დაფინანსებისათვის, რასაც ხშირად ახლდა ფულის გადამეტებული ემისია.

სადღეისოდ ვითარება შებრუნდა. ბრალი 2008-2009 წლების კრიზისის განვითარებაში დაედო ლიბერალურ პოლიტიკას, რომელიც განვითარებულ ქვეყნებში 1970-იანი წლების მიწურულიდან გაბატონდა. ახალ კრიზისს მსოფლიო მოუმზადებელი შეხვდა და ჯეროვანი განსჯის უქონლად კვლავ კეინსური რეცეპტით იწ-

ყო მისი მკურნალობა. მაგრამ კრიზისის მეტასტაზები მომდევნო წლებში ისევ და ისევ იჩენენ თავს.. როგორც ჩანს, განსჯა კრიზისის მიზეზებზე, მათ შორის, მათ კეინსისეულ გაგებაზე კვლავაც არის და დიდხანს იქნება საჭირო.

ყოველი ეკონომიკური კრიზისის მიზეზები ეკონომიკური ციკლის აღმავლობის ფაზაში მწიფდება. ამ ფაზაში ერთობლივი მოთხოვნის ზრდა წინ უსწრებს მიწოდების ზრდას და მიმწოდებლებს ექმნებათ ილუზია, რომ თვალსაწიერ მომავალშიც ასე გაგრძელდება. ამიტომ განსაკუთრებით მაღალია მოთხოვნა საინვესტიციო საქონელზე. ხოლო როდესაც აღმოჩნდება, რომ წმინდა (ახალ) ინვესტიციებს აღარ შეუძლიათ მოგების მოტანა, ეს მოთხოვნა ეცემა და მიმწოდებლები იძულებული ხდებიან შეკვეცონ წარმოება. გორდება ფირმების გაკოტრების ტალღა, იზრდება უმუშევრობა. თითოეულ მიკროერთეულში წარმოშობილი სიმწიფეები ჯაჭვური რეაქციით გადაეცემა ახალსა და ახალ ერთეულებს და, საბოლოოდ ახალსა და ახალ ქვეყნებსაც. გროვდება გაუსაღებელი საქონელი. მიმოქცევიდან ქრება ფული (იგი საერთოდ როდი «ქრება» – იგი ილექება «რეზერვუარებში», ჩერდება ძირითადად ინვესტირებთან). ვითარდება

საგადამხდელო, საბანკო, საფონდო კრიზისი.

კრიზისის მიზეზებს მეცნიერები, ტრადიციულად, ეძებენ ან ერთობლივი მოთხოვნის უკმარისობაში («არაეფექტიანი მოთხოვნის» კეინსური თეორია), ან – ერთობლივი მიწოდების ისეთ ზრდაში, როგორც დინამიური კაპიტალისტური ეკონომიკისათვის არის ნიშანდობლივი. ე.წ. «მიწოდების ეკონომისტთა» (სეპლადერების) უმრავლესობა არც თვლის კრიზისებს კანონზომიერ, გარდაუვალ მოვლენად, რადგან, მათი აზრით, ბაზარს თვითონ ძალუძს შესაბამისობაში მოიყვანოს გაზრდილი მიწოდება მოთხოვნასთან. სადღეისოდ, ასეთი ხელოვნურად გამარტივებული წარმოდგენა მეცნიერებამ უკუაგდო, თუმცა პრაქტიკოსებს შორის მას ჯერ კიდევ აქვს გადგმული ფესვები.

«მიწოდების» კონცეფციის ერთ-ერთი გავრცელებული ვარიანტია მიზეზის ძიება ხელფასის დონის გადამეტებულ ზრდაში, რაც მართლაც არის დამახასიათებელი აღმავლობის ფაზაში მყოფი კაპიტალისტური ეკონომიკისათვის, როდესაც უმუშევრობის დონე მკვეთრად მცირდება: ამ დროს მუშახელზე მოთხოვნა მაღალია, თავისუფალი შრომითი რესურსები კი – მცირე და დამქირავებლებს შორის ძლიერდება კონკურენცია ამ რესურსების მისაზიდად.

ამ კონცეფციებიდან თითოეულში არის რაციონალური მარცვალი, ამასთან, ეკონომიკური კრიზისის მიზეზებს ეკონომიკური თეორია დღეს უფრო იმ მიმართულებით ეძიებს, რომ მოახდინოს ამ რაციონალური მარცვლების სინთეზი და დაადგინოს მათი საერთო საფუძველი. იგი კი

საკმაოდ მარტივია: ეკონომიკური კრიზისების ზოგადი, ძირითადი მიზეზი არის ის, რომ, რესურსების შეზღუდულობის გამო, ზღვრულ დანახარჯებს (დანახარჯებს მომდევნო, ბოლო პროდუქციაზე) ზრდის ტენდენცია ახასიათებს და ექსტენსიურ ეკონომიკურ ზრდას ყოველთვის მოსდევს მათი გადამეტება ფასზე ($MC > P$). ზრდა ჩერდება. სწორედ ამ მიზეზით რჩება გაუსაღებელი საინვესტიციო რესურსები, ამ მიზეზით გორდება გაკოტრებათა ტალღა. გადარჩენილი მეწარმეები ეძებენ გამოსავალს და ეს გამოსავალი ერთადერთია, ეს არის წარმოების დანახარჯების შემცირება, რომლის მიღწევა შესაძლებელია ინოვაციების განხორციელებით. კაპიტალდაბანდებების სფეროები კვლავ ფართოვდება. სწორედ ამიტომ იხილავს ჯ. კეინსი ეკონომიკურ ციკლს როგორც მოვლენას, რომელიც გამოწვეულია კაპიტალის ზღვრული ეფექტიანობის ცვლილებით [3:345].

ვინაიდან აქ კეინსის ერთ უმნიშვნელოვანეს დებულებას დავყვრდენი, ჩემი მსჯელობა ამ ნაწილში შეიძლება აღქმულ იქნას როგორც კეინსის მოსაზრებების ინტერპრეტაცია. დებულება თავისთავად ჭეშმარიტია და მისი ჩამოყალიბებით კეინსი მიაღწა კიდევ კრიზისის საიდუმლოს ზღურბლს, ოღონდ, აღარ გადააბიჯა მას და გაბრუნდა უკან – აქცენტები გადაიტანა მოთხოვნის არაეფექტიანობაზე (უკმარისობაზე). რაც შეეხება ინვესტიციების ეფექტიანობას, თავისი მთავარი ნაშრომის იმავე 22-ე თავის მიხედვით კეინსს არ მიაჩნია, რომ კრიზისის პირას მდგომ ეკონომიკაში ინვესტიციების მომგებიანი განხორციელება შეუძლებელი ხდება.

იგი მხოლოდ თვლის, რომ საინვესტიციო რესურსების სიმრავლე და მათი ზღვრული ეფექტიანობის სიმცირე იწვევს ინვესტორების შიშს შესაძლო ზარალის თაობაზე. შიში კი შესაძლებლობის ამოწურვას არ ნიშნავს, კეინსის მიერ აღწერილ სიტუაციაში იგი ცნობიერებაში მრუდედ ასახული სინამდვილის პროდუქტია. მისი მეშვეობით კეინსის თეორია კრიზისების ფსიქოლოგიურ თეორიათა ჯგუფში ხვდება. აქედანვე გამომდინარეობს კეინსის პოლიტიკური დასკვნაც, რომ კრიზისის დასაძლევად სახელმწიფომ თავადაც უნდა განახორციელოს ინვესტიციები და ასტიმულიროს კიდევ ისინი კერძო სექტორში. ხოლო კაპიტალდაბანდება მომგებიანად თუ ვერ განხორციელდა, მის რა წაქეზებაზე შეიძლება საუბარი.

კეინსის მიხედვით, მთავარი მიზეზი, რომელიც საინვესტიციო რესურსების სიჭარბეს იწვევს – და რომლისკენაც იგი გაბრუნდა კრიზისის საიდუმლოს ზღურბლიდან, – არის სამეცნიერო ბრუნვაში მის მიერ შემოტანილი და მის მომხრეთა მიერ ატაცებული ეგრეთწოდებული «ძირითადი ფსიქოლოგიური კანონი». სინამდვილეში იგი (ინვესტორთა ზემოხსენებული შიშისგან განსხვავებით) წმინდაწყლის ეკონომიკური კანონია, ცხოვრებაში მხოლოდ ფსიქოლოგიური საბურველით მოსილი ისევე, როგორც ყოველი ეკონომიკური კანონი და ეკონომიკური მოვლენა. ეს კანონები და მოვლენები ხომ ადამიანთა ქცევისა და ურთიერთობის ამსახველი კანონები და მოვლენებია, რომელებიც გარდაუვალად არიან გახვეული ნებელობითა და, ამიტომ, ფსიქოლოგიურ გარსში. რა-

ტომ აქვს ამის ხაზგასმას მნიშვნელობა? იმიტომ, რომ «ძირითადი ფსიქოლოგიური კანონი» მართლაც მოქმედებს და იგი მართლაც წარმოადგენს ციკლური მოძრაობის მექანიზმის ნაწილს, ოღონდ – მხოლოდ გარკვეულ გარემო-პირობებში. თუ მისი ეკონომიკური შინაარსი არ გავარკვეით, ისევე შევცდებით და გავაბსოლუტებთ მის მოქმედებას, როგორც ეს კეინსს მოუვიდა.

კეინსის მიხედვით, რაც უფრო მაღალია შემოსავალი, მით უფრო მაღალია დაზოგვისაკენ მიდრეკილება – შემოსავლის მით უფრო დიდი წილი გადაიქცევა დანაზოგად და უფრო მცირე წილი იხარჯება. ეს დებულება მართებულია მიკროსუბიექტისათვის იმ სიტუაციაში, როდესაც მას დანაზოგის შექმნა ან გაზრდა ესაჭიროება, მაგრამ თუ ჩავიხედავთ ამ კანონის ეკონომიკურ შინაარსში, დავინახავთ, რომ ასეთი საჭიროება მას ყოველთვის როდი უჩნდება. ეს შინაარსი კი მდგომარეობს არჩევანში მიმდინარე და სამომავლო მოხმარებას შორის: თუ სუბიექტმა, რომელიც თავისი შემოსავლის გარკვეული ნაწილის გამოყენებაზე იღებს გადაწყვეტილებას, უპირატესობა სამომავლო მოხმარებას მისცა, მაშინ ზოგავს, ხოლო თუ მიმდინარე მოხმარებას, მაშინ ხარჯავს.

როდესაც სუბიექტს შემოსავალი ძლივს ყოფნის პირველი რიგის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე, იგი ბევრს ვერაფერს გადადებს სამომავლო მოხმარებისთვის (მათ შორის ფირმა და თვით საზოგადოებაც კი – წარმოების ზრდისთვის). ამ ნიშნულს ზემოთ წარმოებისა და შემოსავლის ზრდას შეუძლია გამოაცოცხლოს დაზოგვისადმი მიდრეკილება

და დანაზოგი მართლაც შემოსავალზე სწრაფად დაიწყებს ზრდას. მაგრამ ამ პროცესს თავისი ზღვარი აქვს. მაღალი შემოსავალი დანაზოგის გადიდების მხოლოდ შესაძლებლობას ქმნის, ამ შესაძლებლობის გამოყენებას კი სუბიექტები ყოველთვის როდი ამჯობინებენ.

ისინი ასე იქცევიან მხოლოდ ორ შემთხვევაში: პირველი, თუ სუბიექტს აქვს «შავი დღის» მოლოდინი, მაგრამ არ გააჩნია შესატყვისი სიდიდის ადრინდელი დანაზოგი. ამის საპირისპიროდ, თუ მას თავისი ძველი დანაზოგი საკმარისად მიაჩნია და მოხმარებისკენ მიდრეკილება კი ძლიერი აქვს, შეიძლება ამ მიდრეკილებას ანაცვალოს მთელი შემოსავალი. იქნებ, დანაზოგიც ზედ მიაყოლოს, თუ „შავი დღე“ უკვე უდგას ან/და სადღეისო სიამენი გადასმა ლავენ. რაც მთავარია: დაზოგვისა და მოხმარებისკენ მიდრეკილებათა თანაფარდობა დამოკიდებულია არა მარტო შემოსავლის სიდიდესა და მოლოდინზე, არამედ იმაზეც, თუ მოხმარებისადმი რამდენად ძლიერ მიდრეკილებას აღძრავს მიწოდება. ამასთან არის დაკავშირებული მეორე შემთხვევა, რომელიც დომინირებდა XX საუკუნის შუახანებამდე – ჯ. კეინსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ხანის ჩათვლით. იმ დროს აღმავლობის ფაზისათვის ტიპური მართლაც იყო შემოსავლის ზრდასთან ერთად დაზოგვისადმი სწრაფვის უპირატესი ზრდა. ამას განაპირობებდა არა მარტო მეწარმეთა და სპეკულანტთა ოპტიმიზმი და წარმოებისა და სპეკულაციის ზრდა, რომლებიც – ერთიც და მეორეც – შთანთქმავდნენ მთელ დანაზოგს (უფრო მეტიც, ბანკებს ხშირად უხდებოდათ უზრუნ-

ველყოფას მოკლებული ფულის ნიშნების ახალი და ახალი პორციების გაშვება მიმოქცევაში გაბერილი მოთხოვნის საპასუხოდ). მას განაპირობებდა აგრეთვე იმდროინდელი მასობრივი წარმოება და იმ დროს გაბატონებული ბიზნეს-კონცეფციები, რომლებიც მეწარმეს გამიზნავდა ძირითადად წარმოებისა და იმ პროდუქტის სრულყოფისაკენ, რომელ პროდუქტსაც იგი უშვებდა და ერთგულობდა. ამიტომ შედარებით ადვილად ხდებოდა არა მარტო მოთხოვნის, არამედ აგრეთვე მოთხოვნის გაჯერება საქონელთა მოცემულ სახეობებზე და იკლებდა მოხმარებისადმი მიდრეკილების ძალა.

საუკუნის შუახანებიდან ბაზრის სტრუქტურა და ბიზნეს-კონცეფციები იცვლება, ხოლო კრიზისების თეორია ან კვლავაც ძველებურად აშუქებს კეინსის მოძღვრებას, ან/და აკრიტიკებს მას სიღრმისეული საბუთების მოუტანლად. იზრდება ახალი და ახალი საქონლისა და მოხმარების სახეობები, ღრმავდება მათი დიფერენციაციის პროცესი. წინა პლანზე მოდის ბიზნესის მარკეტინგული კონცეფცია. ასეთ ვითარებაში საქონლისა და მოხმარების არსებულ სახეობათა «მოყირჴებას» არ ახლავს მოხმარებისადმი მიდრეკილების შესუსტება, რადგან ამ სახეობებს სწრაფად ენაცვლება ან/და ემატება ახლები.

სამწუხაროდ, მარკეტინგული ნოვაციები ვერ მოხვდა კრიზისის – და, საერთოდ, მაკროეკონომიკის – თეორეტიკოსთა თვალთახედვის არეში, როგორც მიკროეკონომიკური პროცესი. არადა, რა არის მაკროეკონომიკური ხედვა? ეს ხომ, თავის საფუძველში, იგივე მიკროეკონომიკური

ელემენტების ხედვა ამ ელემენტთა ერთიანობაში – მთლიანობაში.

ნიშანდობლივია, რომ მსოფლიო ციკლური ეკონომიკური კრიზისების «სამშობლო» ყოველთვის რომელიმე განვითარებული ქვეყანა იყო. რატომ? იმიტომ, რომ იქ შემოსავალი და ცხოვრების დონე მაღალია, ხოლო ცხოვრების სტანდარტს შეადგენს ყოველი მოცემული მომენტისთვის არსებულ სიკეთეთა გარკვეული რაოდენობა. განვითარებული ქვეყნების მაღალშემოსავლიანი მომხმარებლისათვის, ცხადია, უფრო ადვილი მისაღწევია ეს სტანდარტი, იმ დროს, როდესაც დაბალშემოსავლიანები გამუდმებით განიცდიან იმ სიკეთეთა მწვავე დეფიციტს, რომელი სიკეთეებიც ბაზარზე გამოდის. ომისშემდგომი ექვსი ათეული წლის მანძილზე განვითარებული ქვეყნების მაღალშემოსავლიანი მომხმარებლის თვალშიც საქონელთა არსებული სახეობები ნაკლებად უფასურდებოდა ამ სახეობათა გამრავალფეროვნების გამო და, ვფიქრობ, სწორედ ამან შეასრულა მნიშვნელოვანი როლი იმაში, რომ ამ ექვს ათწლეულში ვერ იპოვი «დიდი დეპრესიის» მსგავსს ან თუნდაც მასთან მიახლოებული ძალის კრიზისს. უთუოდ თავისი როლი აქვს იმასაც, რომ მარკეტინგმა წარმოშვა სიკეთეთა ცვალებად სახეობებთან შიდასაფირმო ბიზნეს-სტრუქტურების პერმანენტული მისადაგების აუცილებლობა ანუ გადამწყვეტი როლი ითამაშა ბიზნეს-ინჟინერინგის წარმოშობაშიც, რაც პროდუქტის სარგებლიანობის ერთეულზე გაწეული დანახარჯების შემცირების ფაქტორი გახდა.

მაგრამ, ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი. ძირეული ტექნოლოგიუ-

რი ძვრები შეუძლებელია ხორციელდებოდეს პერმანენტულად. თითოეული მათგანის განხორციელებას წინ უძღვის ხანგრძლივი თეორიული და პრაქტიკული (ორგანიზაციული – ამ სიტყვის ფართო გაგებით) მომზადების პროცესი. ეს რომ არა, მაშინ ეკონომიკის ციკლური რყევების აცილებაც გახდებოდა, იდეაში მაინც, შესაძლებელი. და რადგან ეს თეორიულადაც კი შეუძლებელია, როგორც კი ჩვენს მაღალი სიჩქარეების ეპოქაში ტექნოლოგიურ და ეკონომიკურ სისტემათა რომელიმე კომპონენტი ჩამორჩება დანარჩენებს თავის განვითარებაში, ცვალებადობა შეფერხდება, მთელი ეს სისტემები იწყებენ ხრჩიალს და «ითხოვენ შესვენებას», – კრიზისს, რომელიც მათ სუსტ წერტილებზე მიგვანიშნებს.

2008-2009 წლების კრიზისმა თავდაყირა დააყენა კეინსისეული «არაეფექტიანი მოთხოვნის» თეზა. მას ბიძგი მისცა სრულიად საპირისპირო სიტუაციამ: კრიზისის «სამშობლო», აშშ-ში, ადამიანები ისე გაალაღა კარგმა ცხოვრებამ და უკეთესის მოლოდინმა, რომ – «ძირითადი ფსიქოლოგიური კანონის» საწინააღმდეგოდ – დაზოგვას ისინი პრაქტიკულად შეეშვნენ და უკიდურესად გაიზარდა მათი მიდრეკილება კრედიტისადმი ანუ ვალით ცხოვრებისადმი, რაც სხვა არაფერია, თუ არა არჩევანი მომავალი შემოსავლის და მომავალი მოხმარების ხარჯზე დღევანდელი მოხმარების გადიდების სასარგებლოდ.

ეს ტენდენცია ათწლეულების განმავლობაში შეინიშნებოდა. ამერიკელი მეცნიერი ლესტერ თუროუ თავის გახმაურებულ წიგნში «კაპიტალიზმის მომავალი» ჩივის დანაზო-

გების შემცირების თაობაზე და დასძენს: «კაპიტალიზმის გადარჩენისათვის აუცილებელია ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ დაზოგვა და გრძელვადიანი ინვესტიციების განხორციელება. მაგრამ კაპიტალიზმი, რომელსაც არ სურს ამ სოციალური რეალობის აღიარება, არაფერს არ აკეთებს იმისათვის, რომ წარმოშვას ასეთი ადამიანები და არც საჭიროდ მიიჩნევს აკეთოს რაიმე ამისათვის» [4:197]. მანამდე, ავტორი მიუთითებს: «ამერიკამ მეტი უნდა დაზოგოს იმიტომ, რომ მისი ინვესტიციები საკმარისი არ არის ადეკვატური სამომავლო ზრდის უზრუნველსაყოფად» [4:208].

ასეთ ვითარებაში, განვლილ რამდენიმე ათწლეულშიც ჰქონდა ადგილი ეკონომიკურ კრიზისებს (თუმცა, რაკი კეინსისეულმა ძირითადმა ფსიქოლოგიურმა კანონმა „დაყვინთა“, მისი ავტორის ლოგიკით, ისინი არ უნდა განვითარებულიყო). სხვა კრიზისებს რომც არ გამოვევიდოთ, 2008 წლის შემოდგომიდან განვითარებულმა მოვლენებმა ხომ, აშკარად, სიღრმისეულად მოიცვა ეკონომიკის ყველა სფერო, უწინარესად კი – წარმოება. მაშასადამე, მისი საფუძველი შექმნა ზღვრული დანახარჯების გადამეტებამ ფასზე – ინვესტიციების ზღვრული ეფექტიანობის დაცემამ, მისმა გადასვლამ უარყოფით მარცენებელში. შექმნილ ვითარებაში ინვესტორთა შიში მხოლოდ ამ, რეალურ ეკონომიკურ საფუძველზე შეიძლებოდა განვითარებულიყო და არა – წმინდა ფსიქოლოგიურ საფუძველზე. ეკონომიკური კრიზისების ამ საერთო და პირველადი მიზეზის ფონზე ნათლად ჩანს, რომ მიზეზთა ახსნები არაეფექტიანი მოთ-

ხოვნისა თუ გადამეტებული მიწოდების მიხედვით არა მარტო ცალმხრივი ახსნებია, არამედ – ზედაპირულიც. ისინი გვიხასიათებენ მხოლოდ კრიზისის განვითარების სხვაგვარ მექანიზმებს სხვადასხვა ტიპურ სიტუაციებში.

ფსიქოლოგიურ ფაქტორსაც შეუძლია გამოიწვიოს წარმოების ვარდნა, მაგრამ როდესაც ამის მიზეზი თვით წარმოებაში არ არის, ვარდნის პროცესს მხოლოდ ერთჯერადი და სწრაფწარმავალი ხასიათი ეძლევა, ხოლო როდესაც მიზეზი წარმოებაში ძვეს, მაშინაც, კრიზისის პირველი გამოვლინება არის პანიკა საბანკო სექტორსა და საფონდო ბირჟაზე, მაგრამ პროცესები ეკონომიკის ძირებს მოიცავს და მათ საფუძველზე ვითარდება. ასეთ ვითარებაში ინვესტიციების უბრალო, «ბრმა» სახელმწიფო სტიმულირებას შეუძლია მხოლოდ გაზარდოს ზღვრული დანახარჯები და, თუნდაც ამით მცირე ხნით გადაავადოს წარმოების ვარდნა, საბოლოოდ, იგი მაინც მოახდენს უფრო ღრმა კრიზისის პროვოცირებას.

ამიტომ, ეკონომიკური კრიზისების პირველმიზეზის ასახსნელად საჭიროა დავუბრუნდეთ იმ ზღვრულს, რომლისგანაც ჯ. კეინსი გაბრუნდა, და გადავაბიჯოთ მას, მათ შორის – შევიხედოთ მიკროსტრუქტურებში – სტიმულებში, რომლებიც ეკონომიკის სუბიექტებს ამოძრავებთ. აქ საჭიროა შევნიშნოთ, რომ თავისთავად სწორია, ოღონდ დოგმად არ უნდა ვაქციოთ მაკრო და მიკრო ეკონომიკების გამიჯვნა, რომელსაც სათავე სწორედ ჯ. კეინსის თეორიის შექმნით დაედო (კარლ მარქსსაც აკუთვნებენ მაკროეკონომისტებს, მაგრამ მის თეორიაში ეს

სფერო არ არის გამიჯნული მიკრო-ეკონომიკისგან). სამწუხაროდ, მაკროეკონომიკური თეორიები უმეტესად ეკონომიკის საბაზრო ზედაპირზე «დასრიალობენ», მათ შორის, კრიზისისა და ციკლის თეორიები ძირითადად ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების თანაფარდობის ცვლილებებით იფარგლებიან, რაც ხელს უშლის კრიზისის პირველმიზეზის საფუძვლიან ახსნას.

შეფერხებები ეკონომიკის განვითარებაში შეიძლება წარმოიშვას მაშინაც, როდესაც მიკროეკონომიკურ ერთეულთა უდიდეს ნაწილში ანუ, საბოლოოდ, მაკროეკონომიკაში ზღვრულ პროდუქტზე გაწეული დანახარჯები ნაკლებია ფასზე, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნე, ეს შეფერხებები ვერ განავითარებენ ეკონომიკურ კრიზისს. მაღალი მომგებიანობის ვითარებაში მიკროსუბიექტებს აქცენტები გადააქვთ წარმოების ექსტენსიური ზრდის ფაქტორების გამოყენებაზე, რადგან იგი ქმნის მოგების მასის შემდგომი ზრდის უფრო ფართო შესაძლებლობას, ვიდრე ინოვაციებისა და, მთლიანად, ინტენსიური ფაქტორების გამოყენება. კრიზისის შემდგომ პერიოდში – გამოცოცხლების ფაზაში – იწყება მოძველებული ტექნოლოგიებისა და პროდუქტის სახეობათა განახლება, რომელიც მასობრივ ხასიათს იღებს ციკლის შემდგომი – აღმავლობის – ფაზის დასაწყისში. მთელ ამ პერიოდში, აგრეთვე მომდევნო პერიოდში, სანამ ახალი კრიზისის პირობები მომწიფდებოდეს, ერთობლივი მოთხოვნა წინ უსწრებს მიწოდებას და მას შემდეგ, რაც ტექნოლოგიების განახლება დასრულდება, მიკროსუბიექტთა ძირითად ორიენტირს წარმოების ექს-

ტენსიური ზრდა წარმოადგენს. მაღალი მოთხოვნა მეწარმეთა ოპტიმიზმის პარალელურად წარმოშობს სპეკულაციურ ოპტიმიზმს, რომელიც, რეფლექსიურად, ზრდის საკუთარ თავს და ფასების ასეთი – რეფლექსიური – ზრდა აგროვებს კრიზისის ელემენტებს, რომლებიც ერთბაშად ფეთქდებიან კრიტიკული მასის მიღწევის შემდეგ¹. ამიტომ იღებს საბაზრო ეკონომიკაში კრიზისი კატასტროფის ხასიათს.

პოლიტიკის მიზანიც, კატასტროფის თავიდან აცილება უნდა იყოს, და არა – მეწარმული სტიმულების სათვის ლაგამის ამოღება, რასაც ადგილი ხშირად აქვს პრაქტიკაში – სხვათაშორის, არა მხოლოდ აღმავლობის ფაზაში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ რაც მეწარმეთა ერთ ნაწილს აძლევს სტიმულს, შეიძლება ის უკარგავდეს სტიმულს მეორე ნაწილს. ამის მაგალითი შეიძლება იყოს პროტექციონისტული პოლიტიკის გადამეტებული გამოყენება, რაც აძვირებს იმპორტს და რასაც შეუძლია ზღვრული დანახარჯების ისეთი ზრდა გამოიწვიოს ფირმათა ნაწილში, რომ თვითონ ააგოროს კრიზისი.

ანალიზმა გვიჩვენა ისიც, რომ ინვესტიციების სტიმულირების კეინსისეულ რეცეპტებს ყველა შემთხვევაში არ შეუძლიათ კრიზისიდან გამოიყვანონ ეკონომიკა. ამ რეცეპტების მიხედვით მოქმედებამ მართლაც უშველა კაპიტალიზმს «დიდი დეპრესიის» შემდგომ ათწლეულებ-

¹ ე.წ. რეფლექსურობის თეორიისა და ამავე პროცესისადმი დამოკიდებულება გამოვხატე სტატიაში, რომელშიც ბოლო კრიზისის განვითარების სპეციფიკაა ასახული [5:55-64].

ში, მაგრამ, რა მანქანებით? ისევ იმით, რომ სახელმწიფომ მკვეთრად გაზარდა თავისი ხარჯი, ოღონდ, ინვესტიციები იმ დარგებში განახორციელა, რომელთა «შიმშილს» მანამდე ეკონომიკა მწვავედ განიცდიდა, რადგან იქ კერძო კაპიტალი ხალისით არ მიდის. ესაა დარგები, რომლებიც გვაწვდიან საზოგადოებრივ სიკეთეებს – გზებს, განათლებას და ა.შ. მათი განვითარება, არსებითად, იყო ინტენსიური ფაქტორების უდიდესი რეზერვის ამოქმედება და მან გაზარდა კაპიტალის მომგებიანი გამოყენების ფარგლები.

თუ ჯ. კეინსს ფომალურად დავესესხებით ციკლის მიზეზის ფორმულირებაში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკონომიკური ციკლი არის მოვლენა, რომელსაც იწვევს ინტენსიური და ექსტენსიური ზრდის სტიმულების მონაცვლეობა მიკროეკონომიკურ ერთეულებში. აქედან: ეკონომიკური პოლიტიკა უნდა ემყარებოდეს ცოდნას ამ სტიმულების მართვის შესახებ – წარმოადგენდეს მათი მართვის ხელოვნებას.

მერაბ გველესიანი

ДОСТОЙНСТВА И НЕДОСТАТКИ ТЕОРИИ КЕЙНСА И ТЕХНОЛОГИЧЕСКИЕ, МИКРО И МАКРОЭКОНОМИЧЕСКИЕ, ПСИХОЛОГИЧЕСКИЕ И ПОЛИТИЧЕСКИЕ АСПЕКТЫ ЭКОНОМИЧЕСКОГО КРИЗИСА

Резюме

На фоне явлений, развитых в мировой экономике в течение последних нескольких десятилетий, в статье показывается, что кейнсиан-

ский «общий психологический закон» не может иметь всеобщий характер. В числе этих явлений – падение склонности к сбережению (в особенности, в США), развитие маркетинговой практики и др. Обосновывается, что к раскрытию первопричины кризиса ведет не только и не столько анализ поверхностных явлений рыночной экономики в целом (макроэкономический аспект), в том числе – совокупного спроса и предложения, сколько углубленный анализ стимулов в микроэкономике.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გველესიანი მ. ეკონომიკსი. თბ., „კომენტარი“, 2000.
2. გველესიანი მ. რა არის ეკონომიკური პოლიტიკა. თბ., „კომენტარი“, 2008.
3. ჯონ კეინსი. დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია. ქუთაისი, 1995.
4. Lester C. Thurow. The Future of Capitalism. How today's economic forces shape tomorrow's world. New York. 1997.
5. გველესიანი მ. ეკონომიკური კრიზისი: თეორია და რეალობა, პარადიგმა და პარადოქსები. იხ.: კრებული «ეკონომიკური განვითარების ტენდენციები თანამედროვე ეტაპზე». თბ., პაატა გუგუშვილის ინსტიტუტი, 2009.